



პროვზული თავისუფლების ზიით - პიროვნული თავისუფლებისათვის
პროვზული თავისუფლების ზიით - პროვზული თავისუფლებისათვის

საქართველო

საქართველოს
პროვზული
აღმართობა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №64 (1574) 28.VI-1.VII, 1997 წელი
გამომცემი: საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების მინისტრის განყოფილება

ეს აგზავნი კოლექტიური წერილების გამართავებს, თვით კომუნისტებსაც კი არ მოსწონებიათ

„ზარსი“ უწოდა გუშინ საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ ქართული ინტელიგენციის კოლექტიურ წერილს საქართველოს პრეზიდენტისადმი, რომელშიც ცდილობენ დაიცვან საქართველოს უშიშროების მინისტრი შოთა კვიციანი.

წერილი გასული კვირის ბოლოს გამოქვეყნდა ოფიციალურ პრესაში. წერილზე ხელის მომწერთა შორის არიან ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან: მწერალი ჭაბუა ამირეჯიანი, მსახიობები კოტე მახარაძე და სოფიკო ჭიაურელი, საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მწვრთნელი დავით ყიფიანი და სხვა.

თავის კომენტარში, გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ გაკვირვებას გამოსთქვამს იმ გარემოების გამო, რომ სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა დაცვას „ხელს კიდებენ ადამიანები, რომლებიც ძალზედ შორს არიან“ სამართალდამცავი ორგანოებისაგან.

„ზარია ვოსტოკას“ მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა ამ ადამიანებს „გაჭირვებული ხალხის, შიმშილისაგან მომაკვდავი მოხუცების თაობაზე მიეწერათ“ პრეზიდენტისათვის. (პრაიმ-ნიუსი)

ფაქტი

გენერალურმა პროკურორმა დახურულ სხდომაზე დაადასტურა

საპარტიო უშიშროების პროკურორმა პარლამენტის დახურულ სხდომაზე დაადასტურა, რომ უშიშროება ნამდვილად ისმენდა გაზეთ „საქართველოს“ მთავარი რედაქტორის ნოდარ გრიგალაშვილის საუბრებს.

პარლამენტის საგამოძიებო კომისიამ დაადასტურა

ის, რომ ურუნდისტებსა და რედაქტორებს უსმენდნენ, დაადასტურა პროკურატურაში მისულმა უშიშროების ერთ-ერთმა მაიორმა, რომელიც ამჟამად პენსიაზეა.

მისი ხელით იყო დაწერილი ცნობა უშიშროების სამსახურში, რომლის საფუძველზეც გრიგალაშვილს უსმენდნენ. თათბირები ტარდებოდა ყოველ შაბათს მინისტრის კაბინეტში მოადგილეების თანდასწრებით. ყოველ კვირას ჯამდებოდა შედეგები, თუ რომელ გაზეთზე რა მასალა მოიპოვეს და როგორ შეუძლიათ მათი თავის სასარგებლოდ გამოყენება, - აღნიშნა ოსაძემ, - ჩვენ გაგვიჩნია უშიშროების სამინისტროს ოპერატიული-ტექნიკური სამსახურის უფროსის ახსნა-განმარტება, რომ გასული წლის სექტემბრიდან ექვსი თვის მანძილზე ოსაძის თქმით, ამ პერიოდში უსმენდნენ გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორის, ნოდარ გრიგალაშვილის სატელეფონო საუბრებს ის სატელეფონო მოსმენებსა და სხვა ტექნიკურ ღონისძიებებს მხოლოდ უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობის სანქციით ახორციელებდა. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს თბილისის სასამართლოს თავმჯდომარის ოფიციალური წერილი, რომელშიც ის აღსტურებს, რომ ამ ექვსი თვის მანძილზე მოსმენის სანქცია სამინისტროზე არ გაუცია.

პარლამენტის სარედაქციო ჯგუფმა საქართველოს პრეზიდენტს უკვე გადასცა მასალა კვიციანის შესახებ

საპარტიო უშიშროების კორესპონდენტისათვის სარწმუნო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ გუშინ პარლამენტის სარედაქციო ჯგუფმა, რომელიც 26 ივნისს, დამით, პარლამენტის დახურული სხდომის გადაწყვეტილებით შეიქმნა, საქართველოს პრეზიდენტს გადასცა სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირთა ანტიკონსტიტუციური ქმედებების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის მასალები.

წინასწარი მონაცემებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ეშეუარდნაძემ ჩაატარა შეხვედრები და კონსულტაციები. (იფრინდა)

„უშიშროების მინისტრის საკითხი პრეზიდენტმა სასწრაფოდ უნდა გადაწყვიტოს“, თორავ ვინ რა ელის, კაცმა არ იცის

ბუშინ ედამ პრესკონფერენცია გამართა. საუბარი ძირითადად შეეხებოდა უშიშროების მინისტრის შოთა კვიციანის იმპიჩმენტის საკითხს. როგორც ირინა სარიშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტმა გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე რაც შეიძლება სწრაფად უნდა მიიღოს რაც უფრო გაიწელება დროში ეს პროცესი, მით უფრო იზრდება საფრთხე სხვადასხვა ადამიანებზე ზემოქმედებისა. გუშინწინდელმა სხდომამ აჩვენა, რომ არც პარლამენტის თავმჯდომარე და არც ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ წარმომადგენლებმა არ იციან, თუ რა გადაწყვეტილება აქვს მიღებული პრეზიდენტს. რასაც მოიმოქმედებს მომავალში უშიშროების სამინისტრო, პასუხისმგებელია თუთონ პრეზიდენტი, - სხდომის დროს აღნიშნა სარიშვილმა. განაწელებულმა კვიციანმა განაცხადა, რომ მას შეუძლია პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ ოსაძე სახელმწიფოებრივ დალატში ამხილოს. (პრემიერი)

«კოლექტივი»

კოლექტიური წერილები „ნითელი“ და „მრგვალი“ რეჟიმების მეტასტაზებია და სანამ ერი ამ სიმსივნეს არ მოიკვეთს, არ მორჩება!

ყაღბი რომ არი, ფარსი რომ არი ჩვენში მდულარე „ახალი ერა“ ძველი მეთოდით რომ იშოვნება სახერეპ-სათქელეფი და კარიერა, ისეე „იქედან“ რომ იმართება „მოღვაწეების“ „გულეების ძგერა“ ვგრეთწოდებულ „ინტელიგენტებს“ ისეე რომ უნდათ მღერეში ჭერა, ჯერ სამწუხაროდ რომ არ ჩამქრალა „ცეკას აქტივის“ მხრჩოლაფი კერა (ვისი გასერილი „სახელ-დიდების“ მხოლოდ მისნაირს ან სუელელს ჯერა) დიახ! აშკარად ყაღბი რომ არი „დემოკრატიის“ საყვირის უღერა და საქართველოს სხეულს რომ ძიძგნის ბეერი „წითელი“ სვაფი და ძერა, იქედან ჩანს რომ გრძელდება ისეე „კოლექტიური“ სიბილწის წერა.

რუსლან მიქაბერიძე

შედეგი ???

**თვითმმართველის
მხარეზე, შოთა
კვიციანი უზრუნველყო
ქვეყნის მორალური
დახვეწა**

სამართლებრივ პარლამენტის დახვეწის სხდომაზე შოთა კვიციანი იმაზე დაადანაშაულეს, რომ 1993 წლის ოქტომბერში, შოთა კვიციანი პირადად დახვეწა ქალაქ ზუგდიდში ექვსი მოქალაქე. ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი თანამდებობის პირის ანტიკონსტიტუციური ქმედებათა შემსწავლელ დროებით საგამოძიებო კომისიაში ინტერფაქსს აცნობეს, რომ შეუძლიათ ამის დამადასტურებელი ეიდოკადრების წარმოგება და ამ მასალების საფუძველზე კომისიის წევრები სისხლის სამართლის საქმის აღძვრას შეეცდებიან.

როგორც ინტერფაქსს აცნობა ამ დახვეწის თვითმხილველმა, რომელმაც არჩია არ დაესახელებინა საკუთარი ვინაობა, 1993 წლის ოქტომბერში ზუგდიდში შევიდნენ სამთავრობო ჯარები და გააძევეს იქედან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები იმავე დღეს ქალაქში დააკავეს ექვსი მორალური. დაახლოებით 200 მეტრში მაშინდელი სამხედრო ხელმძღვანელებსაგან, მიწაზე დაწვენილი ხელ-ფეხ შეკრული მორალური პირადად შოთა კვიციანი და ერთმა ჯარისკაცმა დახვეწიეს. მაშინ კვიციანი განაცხადა, რომ „სხვაგვარად მორალურებს არ დაეღობა არაფერი“.

როგორც თვითმხილველი აცხადებს, „ამ წამებას ათობით ზუგდიდელი უყურებდა“.

საქართველოს ოფიციალურ წრეებში, მათ შორის, პრეზიდენტის აპარატში, ამ ფაქტთან დაკავშირებით, ინტერფაქსს უარი განუცხადეს რაიმე კომენტარზე. (პრაიმ-ნიუსი)

**პროკურორი
საავადმყოფოში
ბარდაცვალდა**

როგორც რესპუბლიკის პროკურატურიდან „მომხმე-ექს-პრესის“ კორესპონდენტს აცნობეს, 26 ივნისს ღამით პროკურორი ნუკრი ასათიანი, რომელმაც ივნისის დასაწყისში სასიკვდილოდ დაიჭრა თავი, საავადმყოფოში გარდაიცვალა. თვითკვლელობის მიზეზი გახდა მისი ვაჭიშვილის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული.


**ოზურგეთის პოლიცია
საუბო გორაკოვძის
დააკავეს**

26 ივნისს ოზურგეთის პოლიციამ, ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურში გატარებული ღონისძიებების შედეგად განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედი, ორი ადამიანის მკვლელობასა და მრავალ მძიმე დანაშაულში მხილებული ქობულეთის პოლიციის მიერ ძებნილი ქობულეთელი ვლადიმერ ცეცხლაძე დააკავეს და ქობულეთის პოლიციას გადასცა. (მომხმე-ექს-პრესი)

**ოზურგეთის №1
ბაბა-ბაღი
გაქურდეს**

როგორც ოზურგეთის პოლიციიდან გეაცნობეს, 25 ივნისს დაუდგენელმა პირებმა გატყვეს ოზურგეთის №1 ბაბა-ბაღის საწყობი, საიდანაც გაიტაცეს ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული საკვები პროდუქტები: ერთი ტომარა ბრინჯი, ორი ტომარა შაქარი, 350 ცალი საპონი. მიმდინარეობს გამოძიება. (პრე-მიერი)

**ზაურ ბოლქვაძის
გამოსათხოვარი**



ზაურ ბოლქვაძემ სულ ცოტა ხნის წინათ გაზეთ „საქართველოში“ თავისი ბრწყინვალე ეპიგრამები გამოაქვეყნა. ერთ მათგანს „ავტობიოგრაფია“ ჰქვია და შეუდარებლად გონებამახვილურადაა ოთხ სტრიქონში გადმოცემული ჭუჭყიან ყოფაში მოხვედრილი ზნემაღალი კაცის ხვედრი.

„ავტობიოგრაფია ჩემი არის ასეთი, გადმოვედი აკენიდან და კუბოში ჩავეჭექი“.

არ მიცხოვრებია, წერდა პოეტი. არადა, სწორედაც რომ ბოჭუმურად იცხოვრა ამ ქვეყანაზე, მაგრამ მისი ბოჭუმური ცხოვრება არსებულისა და დიდი სიყვარულის კაცი დღენიდაგ მოსიყვარულე გულს ეძებდა.

ყველაზე დიდი ნიჭი სხვისი ნიჭის დაფასებაა. ზაურ ბოლქვაძე, ვგონებ, ერთადერთი კაცი იყო ამ მზისქვეშეთში, რომელიც შურისგან მთლიანად თავისუფალი გახლდათ.

ზაურ ბოლქვაძე ჭეშმარიტი პოეტი და მამულიშვილი იყო, ამიტომ მისი სიკვდილი მთელი საქართველოს დანაკლისია. ხოლო მისი მეგობრებისთვის ტკივილი, რომელსაც განსაზღვრება ვერ მოუუძებნე.

მშვიდდებით, ღომო! რა ბედნიერი ვიქნებოდი, თქვენგან რომ მომესმინა ისევ - გამარჯობა, ღომო!..

ნოდარ გრიგალაშვილი

სიყვარული არის პირობა,
სიყვარული - თავისუფლება!
ეს ვახსოვებ ჩემი ბოლომდე
და ჩემი მიზნისთვის, თუ ვახსოვებ!
ზაურ ბოლქვაძეს.
26 ივნისი, 1995 წელი.

ლატარია ყველასათვის

27 ივნისს გაართულ პოლიც ბიკაში „ლატარია ყველასათვის“ პოლიც შედეგად ნომრები:

- | | |
|---------------------|--------------------|
| 5000 ლარი - 576026; | 80 ლარი - *35858; |
| 1000 ლარი - 244011; | 70 ლარი - *17549; |
| 900 ლარი - 468564; | 60 ლარი - *62507; |
| 800 ლარი - 383017; | 50 ლარი - *44383; |
| 700 ლარი - 194524; | 40 ლარი - *10652; |
| 600 ლარი - 501759; | 30 ლარი - *35905; |
| 500 ლარი - 414695; | 25 ლარი - **0941; |
| 400 ლარი - 256858; | 20 ლარი - **5254; |
| 300 ლარი - 212127; | 10 ლარი - ***634; |
| 200 ლარი - 155674; | 10 ლარი - ***254; |
| 100 ლარი - 339189; | 10 ლარი - ***836; |
| 100 ლარი - 539010; | 1 ლარი - ***026; |
| 100 ლარი - 555943; | 1 ლარი - ***011; |
| 100 ლარი - 131303; | 1 ლარი - ***833; |
| 100 ლარი - 266278; | 1 ბილეთი - *****5; |
| 90 ლარი - *48618; | 1 ბილეთი - *****9. |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს. ოცდამეხუთე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავესა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის საღაროებში 12-დან - 14 სთ-მდე - 25 ლარი 50 ლარი - შაბათს 14.00-16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00-12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (50 ლარამდე).

1997 წლის XXV ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **0252: 6236**; გათამაშებაზე შეუძლიათ 4 ივლისს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა „MERSEDES“ მოიგო ლატარიის ბილეთმა №149833.

**ამერიკელები
დელოფლისწყაროში
ახალი საბალოების
აღმოჩენას
აკირებენ**

სამართლებრივ საბოლოო-ენერგეტიკის მინისტრმა დავით ზუბიტაშვილმა, სახელმწიფო კომპანია „საქნავთობის“ თავმჯდომარემ რევაზ დევეძემ და ნავთობისა და გაზის ამერიკული კომპანია „ფრონტერა“-ს პრეზიდენტმა სტივენ ნიკანდროსმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს პროდუქციის ნაწილობრივი განაწილების შესახებ, რომლის თანახმად, კომპანია „ფრონტერა“ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, დელოფლისწყაროში უნდა მოახდინოს იქ არსებული ძველი ჭაბურღილების ინტენსიფიკაცია.

ჩვენ ფართო მასშტაბის საძიებო, გეოლოგიურ და სეისმურ სამუშაოებს ჩატარებთ, რაც საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ ახალი საბალოები, - განაცხადა ბატონმა ნიკანდროსმა.

კომპანია „ფრონტერა“ უახლოეს დღეებში შეუდგება მუშაობას. (პრე-მიერი-ექს-პრესი)

**ოზურგეთის მხარე
ინფანტური
დაავადებების
ეპიდემია
მოსალოდნელი**

ოზურგეთის რაიონული გამგეობის მთავარი მრჩეველის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის საკითხებში გურამ ბერძენიშვილის განცხადებით, მოსახლეობისათვის არასტანდარტული სასმელი წყლის მიწოდების გამო, რაიონში მწვავე ინფექციური დაავადებების ეპიდემია მოსალოდნელი. მისივე თქმით, წყალსადენებზე ვითარება კრიტიკულია. გამოსავალს ბერძენიშვილი რაიონში არსებული სამსახურების წყალსადენის ორგანიზაციის წარმომადგენლების კოორდინირებაში ხედავს. (მომხმე-ექს-პრესი)

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუპრის ძ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქციის მოაზგილე: 93-18-41
რეგისტრირებულია თბილისის გრწანისის რაიონის სისმართლის
შირ. №06/4-444